ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №77

6 მარტი 2014 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

- თამაზ ჯინჭარაძე – მუნიციპალიტეტის გამგებლის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარე;

- ლალი თავაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში – კომისიის წევრი

- ნინო ვაჩეიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის სპეციალისტი - კომისიის წევრი

- შორენა კაჭარავა – მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის საკითხებში - კომისიის წევრი

- პაატა ბერიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში – კომისიის წევრი

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს სატენდერო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ–ტექნიკური უზრუნველყოფა.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 20 მაისის ბრძანება №119 – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*